პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ც აკის ორგანო

№ 37 (5138) | სამშაბათი, 15 თებერვალი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში

ამხ. ივანოვის წერილი და ამხ. სტალინის პასუხი (1-ლი გვერდი)

გმირ პაპანინელთა გადმოსაყვანად (მე-2 გვ.)

სსრ კავშირის სახკომსაბჭოში. — ქვანახშირისა და ტორფის მრეწველობაში მომუშავე კოლმეურნეთა შეღავათების შესახებ (მე-2 გვ.)

ტრ. თოდრაძე — აყვავებული კოლმეურნეობა (ფელეტონი. მე-2 გვ.)

დ. ლომთაძე — გედნიერი ცხოვრება ხვანჭკარაში (ფელეტონი, მე-3 გვ.)

უცხოეთში:

მიმართვა ესპანელ მუშა-მელეხებისადმი (მე-2 გვ.)

ესპანეთის ფრონტებზე (მე-2 გვ.)

გერმანიის საშინაო ვითარება კვლავ განსაკუთრებით დაძაბულია (მე-2 გვ.)

გზა-კვალს აბნევენ (მე-2 გვ.)

ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ დავეხმარეთ ღარიბთა მიღიონიან მასებს შესუდყვნენ კოლმეურნეობებში. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ღარიბთა მიღიონიანი მასები, როცა შევიდნენ კოლმეურნეობებში და დაიწყეს იქ უკეთესი მიწით და უკეთესი საწარმოო იარაღით სარგებლობა, ამაღდნენ საშუალო გლეხების დონემდე. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ღარიბ გლეხთა მიღიონიანი მასები, რომლებიც წინათ ცხოვრობდნენ ნახევრად მშიერი, ახლა კოლმეურნეობებში გადაიქცნენ საშუალო გლეხებად, გადაიქცნენ უზრუნველყოფილ ადამიანებად. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ძირი გამოვუთხარეთ გლეხების დაყოფას ღარიბებად და კულაკებად, გავანადგურეთ კულაკები და დავეხმარეთ ღარიბებს გამხდარიყვნენ თავის შრომის ბატონპატრონად კოლმეურნეობების შიგნით, გამხდარიყვნენ საშუალო გლეხებად... რომ დავიძრათ წინ და საბოლოოდ განვამტკიცოთ კოლმეურნეობები, ჩვენ უნდა გადავდგათ მეორე ნაბიჯი, ჩვენ უნდა მივაღწიოთ ახალ წარმატებას. რაში მდგომარეობს ეს მეორე ნაბიჯი? იგი მდგომარეობს იმაში, რომ უფრო ავამაღლოთ კოლმეურნეები,—ყოფიღი ღარიბი გლეხებიც და ყოფიღი საშუალო გლეხებიც. იგი მდგომარეობს იმაში, რომ ყველა კოლმეურნე გავხადოთ შეძლებულად დიახ, ამხანაგებო, შეძლებულად.

ამხანაგ **სტალინის** სიტყვიდან დამკვრელ კოლმეურნეთა პირველ სრულიად-საკავშირო ყრილობაზე.

ისტორიული ყრილობა

დღეს 5 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის დედაქალაქში მოსკოვში გაიხსნა დამკვრელ კოლმეურნეთა პირველი სრულიად - საკავშირო ყრილობა. ამ ყრილობამ საკოლმეურნეო მოძრაობის ისტორიაში ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერა. აქ შეიკრიბნენ სოციალისტური მინდვრის დამკვრელები, საკოლმეურნეო სოფლის მოწინავე ადამიანები, რათა შეეჯამებინათ განვლილი მუშაობა, დაესახათ ღონისძიებანი კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისათვის და მეორე ხუთწლედის პირველი გაზაფხულის ამოცანები.

ლენინ-სტალინის პარტიამ, მუშათა კლასმა მშრომელი გლეხობა გამოიყვანეს სოციალიზმის ფართო გზაზე. ინდუსტრიალიზაციის სტალინური გეგმის ბრწყინვალე გამარჯვებამ უზრუნველჰყო ჩვენში გლეხობის გადაყვანა კოლექტივიზაციის რელსებზე. ეს გამარჯვება მოპოვებულია კლასობრივ მტრებთან მკაცრ ბრძოლებში.

კულაკობა და კონტრრევოლუციონერი ტროცკისტ - ბუხარინელი ნაბოლარები იბრძოდნენ კოლექტივიზაციის წინააღმდეგ. რაში გამოიხატებოდა მაშინ კულაკის წინააღმდეგობა? იმაში, რომ კოლმეურნეობაში შემძვრალი მაგნუ ელემენტები ეწეოდნენ საკოლმეურნეო ქონების დატაცებას, კულაკი ცეცხლს უკიდებდა საკოლმეურნეო დოვლათს, აწყობდა მუშა-პირუტყვის მოწამლვას, მუშაობის ჩაშლას.

სტალინური ლოზუნგი „გადავაქციოთ კოლმეურნეობანი ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად, ყველა კოლმეურნე შეძლებულად“ საფუძვლად დაედო საკოლმეურნეო მშენებლობის შემდგომ გაშლას. ამ ლოზუნგის წარმატებით განსახორციელებლად საჭირო იყო მტრული კლასების ნაბოლარებისათვის ბინძური ხელების წაკვეთა, საჭირო იყო ნამდვილი დამკვრელური მუშაობის გაჩაღება. „თქვენი მხრით საჭიროა მხოლოდ ერთი, — ამბობდა ამხანაგი **სტალინი** დამკვრელ კოლმეურნეთა პირველ სრულიად-საკავშირო ყრილობაზე, — იშრომოთ პატიოსნად, გაანაწილოთ საკოლმეურნეო შემოსავალი შრომის მიხედვით, გაუფრთხილდეთ საკოლმეურნეო დოვლათს, გაუფრთხილდეთ ტრაქტორებს და მანქანებს, კარგად მოუაროთ ცხენს, შეასრულოთ თქვენი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს დავალებები, განამტკიცოთ კოლმეურნეობები და განვდევნოთ კოლმეურნეობებიდან იქ შემძვრალი კულაკები და მათი დამქაშები“.

ამხანაგ **სტალინის** სიტყვამ და დამკვრელ კოლმეურნეთა ყრილობის მოწოდებამ დარაზმა კოლმეურნე მასები ბოლშევიკური კოლმეურნეობებისათვის ბრძოლაში. წარმატებით გაიმალა ბრძოლა მალალი მოსავლის მიღებისათვის, კოლმეურნეთა შეძლებულებად გადაქცევისათვის. ამ ბრძოლაში გამოიჭედნენ საკოლმეურნეო მინდვრის ახალი ადამიანები, ნიჭიერი ორგანიზატორები. ესენი არიან ჩვენი დამკვრელები, სტახანოველები, ორდენოსნები, რომლებიც უხვი მოსავლისათვის ბრძოლის მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ.

ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი **სტალინის** ბრძნული ხელმძღვანელობით, მუშათა კლასთან მჭიდრო კავშირში კოლმეურნე გლეხობამ გასტეხა კულაკური და სხვა მტრული ელემენტების წინააღმდეგობა და მოიპოვა მსოფლიო - ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებანი. საკოლმეურნეო წყობილებამ გაიმარჯვა საბოლოოდ და სამუდამოდ.

ორი სტალინური ხუთწლედი ჩვენმა ქვეყანამ ბრწყინვალედ შეასრულა. აგრარული ქვეყნიდან იგი გადაქცა ინდუსტრიულ ქვეყნად. სოციალიზმის მზე ნათლად კაშკაშებს დედამიწის ერთმეოქვედსედ ნაწილზე. ცხოვრება საამური და ბედნიერი გახდა. ყოველ დღეს კოლმეურნე გლეხებისათვის მოაქვს ახალახალი გამარჯვებანი. ჭეშმარიტად, კოლმეურნეობათა გზა სოციალიზმის გზაა. დიადია სოციალიზმის მონაპოვარნი სოფლად. შარშან საბჭოთა კავშირის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უმაგალითო მოსავალი — 7 მილიარდი ფუთი პური მიიღეს. ჩვენ უკვე მივადექით ყოველწლიურად 7-8 მილიარდი ფუთი მარცვლეულის მოყვანის შესახებ ამხანაგი **სტალინის** მიერ მოცემული ლოზუნგის მთლიანად განხორციელებას.

სტალინური კონსტიტუცია და სას.-სამ. არტელის სტალინური წესდება დგას კოლმეურნეობათა ინტერესების სადარაჯოზე.

თანამედროვე ახალი საბჭოთა გლეხობა, — ეს არის გუშინდელი ღარიბი თუ საშუალო გლეხი, რომელსაც წინათ ლუკმა-პური ენატრებოდა, რომელიც ბედნიერ ცხოვრებაზე მხოლოდ ოცნებობდა. ახლა ეს ბედნიერი, საამური ცხოვრება ფაქტია და არა ოცნება. კოლმეურნე გლეხობა უსაზღვროდ ერთგულია ლენინ-სტალინის დიადი პარტიის საქმისა. ეს ნათლად დამტკიცდა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებისას.

საბჭოთა საქართველოში, ისე როგორც მთელს საბჭოთა კავშირში, სამუდამოდ გაჰქრა სიღატაკე სოფლად. საქართველოს კოლმეურნე გლეხობა შეძლებული ცხოვრების ფართო გზაზე გამოვიდა. საამური და კულტურული ცხოვრება სინამდვილედ იქცა. ეს საამური ცხოვრება საქართველოს კოლმეურნე გლეხობას, ისე როგორც საბჭოთის მთელ ქვეყანას, მიაღწია ლენინ-სტალინის დიადმა პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ, დიდმა **სტალინმა**.

დიდი **სტალინის** ერთგული მოწაფის ამხანაგ **ლ. ბერიას** ხელმძღვანელობით საქართველოს კოლმეურნე გლეხობა გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევს. ყოველწლიურად იზრდება ჩვენში მილიონერ კოლმეურნეობათა რიცხვი. ქობულეთის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის შემოსავალი შარშან სამ მილიონ მანეთამდე აღწევდა. აქ კოლმეურნეებს შრომადღეზე მარტო ფულად ხვდათ 16 მანეთი.

სოციალისტური შრომის სიდიადე ნათლად იგრძნობა ქუთაისის რაიონის სოფელ სიმონეთის კოლმეურნეობაშიც. ამ კოლმეურნეობის შემოსავალმა შარშან ერთ მილიონ მანეთს გადააჭარბა. სოფ. მეორე-ჭვერის (ბაშურის რაიონი) კოლმეურნეობის წევრი ლადო ფუხაშვილი შეძლებულად და კულტურულად ცხოვრობს. შარშანდელი საკოლმეურნეო შემოსავლით მან არა თუ ოჯახის მთხოვნილებანი დააკმაყოფილა, არამედ 400 ფუთი მარცვლეული გასაყიდადაც მოარჩა. სოხუმის რაიონის სოფ. ბაბუშერის კოლმეურნეობის წევრები, ყოფილი მოჯამაგირეები ვლადიმერ ჩემია, პავლე ბასილაია და აბდულ თემირხან-ოღლი ახლა შეძლებულად ცხოვრობენ.

კოლმეურნეები მასობრივად იშენებენ კოხტა ოდა-სახლებს, მათი საცხოვრებელი ბინები დამშვენებულია ძვირფასი საოჯახო ნივთუბით. სოფელმა სახე და შინაარსი შეიცვალა.

კონტრრევოლუციონერი ტროცკისტ - ბუხარინელი არამზადები, ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა გარეწარი ყოველმხრივ ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ კოლმეურნეთა შეძლებული ცხოვრებისათვის. სახელოვანმა შინსახკომელებმა მთელი ხალხის დახმარებით გაანადგურეს საკოლმეურნეო მშენებლობის მოსისხლე მტრები. ხალხის სახიზღარმა მტრებმა ვერ შეანელეს სოციალისტური მშენებლობა სოფლად. არ არსებობს ძალა, რომელსაც საკოლმეურნეო წყობის შერყევა შეეძლოს. მტრული ელემენტები შეეცდებიან კვლავ ავნონ საკოლმეურნეო მშენებლობას. საჭიროა შემდეგშიაც დაუნდობლად ვამხილოთ მტრის ნაბოლარები და აღვგავოთ ისინი მშვენიერი საბჭოთა მიწაწყლიდან.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ ჯერ კიდევ ყველა კოლმეურნეობა მუშაობდეს ისე, როგორც მოწინავენი მუშაობენ. აქა-იქ ჯერ კიდევ ვხვდებით იარაღ - მანქანების მოუვლელობის ფაქტებს, შეუწყნარებელ უდარდელობას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისადმი.

ჯერ კიდევ დიდი მუშაობა მოგველის. დაჩქარებით უნდა აღმოვფხვრათ მავნებლობის შედეგები სოფლის მეურნეობაში და გამოვასწოროთ ის ჩამორჩენა, რომელსაც ზოგან ადგილი აქვს საგაზაფხულო თესვისათვის მზადებაში. თესვის სანიმუშოდ მომზადება იქნება კიდევ ერთი მძლავრი ნაბიჯი კოლმეურნეობათა შეძლებულობის შემდგომი ზრდის საქმეში.

ამხ. ივანოვის წერილი და ამხ. სტალინის პასუხი

ამხანაგ სტალინს

საკ. ალკა კურსკის ოლქის მანტუროვსკის რაიონის რაიკომის შტატის პროპაგანდისტის ივანე ფილიპეს-ძე ივანოვისაგან

ძვირფასო ამხანაგო სტალინ, დაბეჯითებით გთხოვთ განმიმარტოთ შემდეგი საკითხი: ჩვენში ადგილებზე და კომკავშირის ოლქკომშიც, ორნაირად ესმით სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში, ე. ი. წინააღმდეგობათა პირველ ჯგუფს ურევენ მეორეში. თქვენს შრომებში—საბჭოთა კავშირში სოციალიზმის ბედის შესახებ—ლაპარაკია წინააღმდეგობათა ორ ჯგუფზე—საშინაო და საგარეო წინააღმდეგობებზე.

წინააღმდეგობათა პირველი ჯგუფის შესახებ გასაგებია, რომ ჩვენ ისინი გადავჭერით, სოციალიზმმა გაიმარჯვა ჩვენი ქვეყნის შიგნით.

მე მინდა მივიღო პასუხი წინააღმდეგობათა მეორე ჯგუფზე, ე. ი. სოციალიზმის ქვეყანასა და კაპიტალიზმის ქვეყნებს შორის არსებულ წინააღმდეგობებზე. თქვენ მიგვითითებთ, რომ სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება ნიშნავს საგარეო წინააღმდეგობათა გადაჭრას, იმას, რომ გვჭონდეს სრული გარანტია ინტერვენციისაგან და, მაშასადამე, კაპიტალიზმის რესტავრაციისაგანაც. წინააღმდეგობათა ამ ჯგუფის გადაჭრა კი მხოლოდ ყველა ქვეყნის მუშათა ძალღონით შეიძლებაო.

ამხანაგი ლენინიც ამასვე გვასწავლიდა—„საბოლოო გამარჯვება შეიძლება მხოლოდ მსოფლიო მასშტაბით, მხოლოდ ყველა ქვეყნის მუშათა შეერთებული ძალღონით“.

როცა ვიყავი საკ. ალკა ოლქკომის შტატის პროპაგანდისტთა სემინარზე, მე თქვენს შრომებს დავეყრდენი და ვთქვი, რომ სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება შეიძლება მსოფლიო მასშტაბით, მაგრამ ოლქკომელი მუშაკები—უროჟენკო (კომკავშირის ოლქკომის პირველი მდივანი) და კაზელკოვი (ინსტრუქტორი პროპაგანდის დარგში) ჩემს გამოსვლას აფასებენ, როგორც ტროცკისტულ გამოლაშქრებას.

მე დავიწყე მათთვის ციტატების კითხვა თქვენი შრომებიდან ამ საკითხზე, მაგრამ უროჟენკომ წინადადება მომცა დამეხურა სამტომეული და სთქვა, რომ „ამხანაგი სტალინი ლაპარაკობდა 1926 წელს, ახლა კი უკვე 1938 წელია, მაშინ ჩვენ საბოლოო გამარჯვება არ გვქონდა, ახლა კი გვაქვს და ახლა ინტერვენციასა და რესტავრაციაზე სრულადაც არ უნდა ვფიქრობდეთო“; შემდეგ, ის ამბობს—„ჩვენ ახლა გვაქვს სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება და გვაქვს სრული გარანტია ინტერვენციისა და კაპიტალიზმის რესტავრაციისაგან“. ამგვარად, მე ტროცკიზმის ხელშემწყობად ჩამთვალეს, მომხსნეს პროპაგანდისტული სამუშაოდან და დააყენეს კომკავშირში ჩემი ყოფნის საკითხი.

გთხოვთ, ამხანაგო სტალინ, განმარტოთ, გვაქვს თუ არა ჩვენ სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება თუ ჯერ კიდევ არა გვაქვს? შესაძლოა, მე ჯერ კიდევ ვერ ვიპოვე დამატებით თანამედროვე მასალა ამ საკითხზე, თანადროულობაში მომხდარ ცვლილებებთან დაკავშირებით.

მე ავრეთვე ანტიბოლშევიკურად მიმაჩნია უროჟენკოს განცხადება, რომ ამხანაგ სტალინის შრომები ამ საკითხზე ცოტათი მოძველდაო. და სწორედ მოიქცნენ თუ არა ოლქკომის მუშაკები, როცა მე ტროცკისტად ჩამთვალეს. ეს ჩემთვის მეტად საწყენი და შეურაცხმყოფელია.

გთხოვთ, ამხანაგო სტალინ, უარს ნუ მეტყვით თხოვნაზე და მიპასუხეთ მისამართით: კურსკის ოლქის მანტუროვსკის რაიონი, ზასიმსკის 1-ლი სოფლსაბჭო, ივანე ფილიპეს-ძე **ივანოვს.**

ი. ივანოვი

18/I—38 წ.

პასუხი ამხანაგ ივანე ფილიპეს-ძე ივანოვს

თქვენ, რა თქმა უნდა, მართალი ხართ, ამხ. ივანოვო, ხოლო თქვენი იდეური მოწინააღმდეგენი, ე. ი. ამხანაგები უროჟენკო და კაზელკოვი—არ არიან მართალნი.

და აი რატომ.

უეჭველია, რომ ერთ ქვეყანაში, ამ შემთხვევაში, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხს **ორი სხვადასხვა** მხარე აქვს.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხის **პირველი** მხარე მოიცავს ჩვენი ქვეყნის შიგნით კლასების ურთიერთდამოკიდებულებათა პრობლემას. ეს არის **საშინაო** ურთიერთობათა დარგი. შეუძლია თუ არა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასს დასძლიოს წინააღმდეგობანი ჩვენს გლეხობასთან და მოაგვაროს მასთან კავშირი, თანამშრომლობა? შეუძლია თუ არა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასს ჩვენს გლეხობასთან კავშირში დაამარცხოს ჩვენი ქვეყნის ბურჟუაზია, ჩამოართვას მას მიწა, ქარხნები, მაღაროები და სხვ. და თავისი ძალებით ააშენოს ახალი უკლასო საზოგადოება, სრული სოციალისტური საზოგადოება?

ასეთია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხის **პირველ** მხარესთან დაკავშირებული პრობლემები.

ლენინიზმი ამ პრობლემებზე უარყოფითად უპასუხებს. ლენინიზმი გვასწავლის, რომ „სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება ბურჟუაზიულ ურთიერთობათა რესტავრაციისაგან სრული გარანტიის აზრით შესაძლებელია მხოლოდ საერთაშორისო მასშტაბით“. (იხ. საკ. კ. პ. (ბ) XIV კონფერენციის ცნობილი რეზოლუცია). ეს ნიშნავს, რომ საერთაშორისო პროლეტარიატის სერიოზული დახმარება წარმოადგენს იმ ძალას, ურომლისოდაც არ შეიძლება გადაიჭრას ამოცანა სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისა ერთს ქვეყანაში. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თვითონ ჩვენ, გარედან დახმარების მოლოდინში, გულხელდაკრეფილი უნდა ვისხდეთ. პირიქით, დახმარება საერთაშორისო პროლეტარიატის მხრით შეერთებულ უნდა იქნას ჩვენს მუშაობასთან ჩვენი ქვეყნის თავდაცვის გაძლიერებისათვის, წითელი არმიისა და წითელი ფლოტის გაძლიერებისათვის, მთელი ჩვენი ქვეყნის მობილიზაციისათვის, სამხედრო თავდასხმასთან და ბურჟუაზიულ ურთიერთობათა რესტავრაციის ცდებთან საბრძოლველად.

აი რას ამბობდა ამის შესახებ ლენინი:

„ჩვენ ვცხოვრობთ არა მარტო სახელმწიფოში, არამედ **სახელმწიფოთა სისტემაშიც,** და საბჭოთა რესპუბლიკის დიდი ხნით არსებობა იმპერიალისტური სახელმწიფოების გვერდით წარმოუდგენელია. ბოლოსდაბოლოს ან ერთი გაიმარჯვებს, ან მეორე, ხოლო ვიდრე ეს ბოლო დაგვიბოდეს, გარდუვალია მთელი რიგი უსაშინელესი შეჯახებანი საბჭოთა რესპუბლიკასა და ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის. ეს იმას ნიშნავს, რომ გაბატონებულმა კლასმა, პროლეტარიატმა, თუ კი მას სურს ბატონობა და თუ იგი იბატონებს, ეს უნდა დაამტკიცოს თავისი სამხედრო ორგანიზაციაც“ (ტ. XXIV, გვ. 122).

და შემდეგ:

„ჩვენ გარშემორტყმული ვართ ადამიანებით, კლასებით, მთავრობებით, რომელნიც აშკარად გამოხატავენ სიძულვილს ჩვენდამი. უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი თავდასხმისაგან ჩვენ მუდამ ბეწვზე ვკიდიავართ“. (ტ. XXVII, გვ. 117).

ნათქვამია მკვეთრად და მაგრად, მაგრამ პატიოსნად და გულმართლად, შეულამაზებლად, ისე, როგორც იცოდა ლაპარაკი ლენინმა.

ამ წანამძღვართა საფუძველზე სტალინის „ლენინიზმის საკითხებში“ ნათქვამი იყო:

„სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება არის სრული გარანტია ინტერვენციისა და, მაშასადამე, რესტავრაციის ცდებისაგან, ვინაიდან რესტავრაციის რამდენადმე სერიოზული ცდა შესაძლოა მხოლოდ გარედან სერიოზული დახმარების დროს, მხოლოდ საერთაშორისო კაპიტალის დახმარების დროს. ამიტომ ჩვენი რევოლუციისათვის მხარის დაჭერა ყველა ქვეყნის მუშების მიერ და მით უმეტეს ამ მუშების გამარჯვება, თუნდაც რამდენიმე ქვეყანაში, წარმოადგენს ინტერვენციისა და რესტავრაციის ცდებისაგან მიმართოთ, გვაქვს თუ არა ჩვენ სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება თუ ჯერ კიდევ არა გვაქვს? შესაძლოა, მე ჯერ კიდევ ვერ ვიპოვე დამატებით თანამედროვე მასალა ამ საკითხზე, თანადროულობაში მომხდარ ცვლილებებთან დაკავშირებით.

მე ავრეთვე ანტიბოლშევიკურად მიმაჩნია უროჟენკოს განცხადება, რომ ამხანაგ სტალინის შრომები ამ საკითხზე ცოტათი მოძველდაო. და სწორედ მოიქცნენ თუ არა ოლქკომის მუშაკები, როცა მე ტროცკისტად ჩამთვალეს. ეს ჩემთვის მეტად საწყენი და შეურაცხმყოფელია.

გთხოვთ, ამხანაგო სტალინ, უარს ნუ მეტყვით თხოვნაზე და მიპასუხეთ მისამართით: კურსკის ოლქის მანტუროვსკის რაიონი, ზასიმსკის 1-ლი სოფლსაბჭო, ივანე ფილიპეს-ძე **ივანოვს.**

ი. ივანოვი

18/I—38 წ.

პასუხი ამხანაგ ივანე ფილიპეს-ძე ივანოვს

თქვენი წერილიდან სჩანს, რომ ამხ. უროჟენკო ადგია სხვა, არასავსებით ლენინურ შეხედულებებს. იგი თურმე ამტკიცებს, რომ „ჩვენ ახლა გვაქვს სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება და გვაქვს სრული გარანტია ინტერვენციისა და კაპიტალიზმის რესტავრაციისაგან“. ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ ამხ. უროჟენკო სრულიად არ არის მართალი. ამხ. უროჟენკოს ასეთი მტკიცება შეიძლება აიხსნას მხოლოდ გარემო სინამდვილის გაუგებლობით და ლენინიზმის ელემენტარულ დებულებათა უცოდინარობით, ან კიდევ თავგასული ახალგაზრდა მოხელის ცალიერი ბაქიობით. თუ ჩვენ მართლაც „გვაქვს სრული გარანტია ინტერვენციისა და კაპიტალიზმის რესტავრაციისაგან“, მაშინ საჭიროა თუ არა ჩვენთვის ამის შემდეგ ძლიერი წითელი არმია, წითელი ფლოტი, წითელი ავიაცია, ძლიერი თავდაცვა-ავიაქიმი, ინტერნაციონალურ პროლეტარულ კავშირ-ურთიერთობათა გაძლიერება და განმტკიცება? უმჯობესი არ იქნება მილიარდობით ფული, რაც წითელი არმიის გაძლიერებაზე მიდის, მოვახმაროთ სხვა საჭიროებებს, ხოლო წითელი არმია შევამციროთ მინიმუმამდე, ან სრულიად დავშალოთ კიდევაც? ისეთი ადამიანები, როგორიცაა ამხ. უროჟენკო, თუნდაც ისინი სუბიექტურად ჩვენი საქმის ერთგულნი იყვნენ, ობიექტურად საშიში არიან ჩვენი ქვეყნის სრული უზრუნველყოფის საქმისთვის, რადგან ისინი თავისი ბაქიობით ნებსით თუ უნებლიეთ (ეს სულ ერთია!) აძინებენ ჩვენს ხალხს, ადემობილიზებენ მუშებს და გლეხებს და ხელს უწყობენ მტრებს მოულოდნელად თავს დაგვესხან საერთაშორისო გართულებათა შემთხვევაში.

რაც შეეხება იმას, ამხ. ივანოვო, რომ თქვენ, თურმე, „მოგხსნეს პროპაგანდისტული მუშაობიდან და დასვეს საკითხი კომკავშირში ყოფნის შესახებ“, თქვენ ამისი არ უნდა გეშინოდეთ. თუ ადამიანები საკ. ალკა ოლქკომიდან მართლაც მოისურვებენ დაემსგავსონ ჩეხოვის უნტერ-ოფიცერს პრიშიბეევს, ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ ისინი წააგებენ ამით. ჩვენს ქვეყანაში არ უყვართ პრიშიბეევები.

ახლა თქვენ შეგიძლიათ განსაჯოთ, მოძველდა თუ არა ცნობილი ადგილი წიგნიდან „ლენინიზმის საკითხები“ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხზე. მე თვითონ ძალიან მინდა, რომ იგი მოძველდეს, რომ ქვეყნად აღარ იყოს ისეთი არასასიამოვნო რამეები, როგორიცაა კაპიტალისტური გარემოცვა, სამხედრო თავდასხმის საშიშროება, კაპიტალიზმის რესტავრაციის საშიშროება და ა. შ. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არასასიამოვნო რამეები ჯერ კიდევ განაგრძობენ არსებობას.

ი. სტალინი

1938 წ. 12 თებერვალი.

(„პრავდა“)

გმირ პაპანინელთა გადმოსაყვანად

მოდრეიფე სადგურ „ჩრდილოეთის პოლუსზე“

13 თებერვალს მოსკოვში მიღებულია მოდრეიფე სადგურ „ჩრდილო - პოლუსიდან“ შემდეგი მეტეოროლოგიური ცნობები:

სადგური „ჩრდილო-პოლუსი“, 13 თებერვალი, 0,0 საათი. კოორდინატები — განედი 71 გრადუსი და 37 წუთი, დასავლეთის გრძედი 20 გრადუსი და 10 წუთი, მთლიანი ღრუბლიანობა, ჩრდილოეთ-ჩრდილო-დასავლეთის 2 ბალიანი ქარი, ტემპერატურა მინუს 24 გრადუსი, წნევა 1037,4 მილიბარი.

სადგური „ჩრდილო-პოლუსი“, 13 თებერვალი, 0,6 საათი. განედი 71 გრადუსი და 37 წუთი, დასავლეთის გრძედი 20 გრადუსი და 10 წუთი. მთლიანი ღრუბლიანობა, წყნარი ამინდი, ტემპერატურა მინუს 22 გრადუსი, წნევა 1035,7 მილიბარი.

სადგური „ჩრდილო-პოლუსი“, 13 თებერვალი, 12 საათი. კოორდინატები — განედი 71 გრადუსი და 37 წუთი, დასავლეთის გრძედი 20 გრადუსი და 10 წუთი, მთლიანი ღრუბლიანობა. დასავლეთის ქარი — ერთ ბალზე ნაკლები, ტემპერატურა მინუს 17 გრადუსი, წნევა 1026,9 მილიბარი.

სადგური „ჩრდილო-პოლუსი“, 13 თებერვალი, 18 საათი. კოორდინატები — განედი 71 გრადუსი და 37 წუთი, დასავლეთის გრძედი 20 გრადუსი და 10 წუთი. სრული ღრუბლიანობა, წყნარი ამინდი, ტემპერატურა მინუს 18 გრადუსი, წნევა 1016,3 მილიბარი.

(საკდესი).

პაპანინელები აეროდრომს ამზადებენ

მურმანსკი, 13 თებერვალი („პრავდის“ კორესპონდენტი). დღეს დილით აქ „ტაიმირიდან“ კაპიტანის თანაშემწისაგან პოლიტიკურ დარგში ამბ. უმოვსკისაგან მიღებულია შემდეგი ცნობა:

„პაპანინელები მშვენივრად ხედავენ „ტაიმირის“ პროექტორის სხივებს. 12 თებერვალს 22 საათზე პაპანინელები უშვებდნენ შუშხუნებს, რაც ჩვენ მშვენივრად დავინახეთ. ვდგევართ 8-ბალიან მძიმე ყინულში, ვისწრაფით მოვადგეთ პირდაპირ ყინულს, წინააღმდეგ შემთხვევაში თვითმფრინავებს გამოეუშვებთ.

პაპანინელები აეროდრომს ამზადებენ მეზობელ ყინულზე. ყინვა 26 გრადუსია. „ტაიმირის“ მექანიზმები ჩინებულად მუშაობს, უნაკლოდ.

ადამიანები თავს არ ანებებენ საგუშაგოებს. დღეს 12 თებერვალს 20 მილი გავიარეთ მძიმე ყინულში. გემი სრული ცხოვრებით ცხოვრობს. დასვენების დროს იმართება მოხსენებები, ვუჩვენებთ კინოსურათებს, გამოდის მხატვრული თვითმოქმედება. ამჟამად მოწმენდილია, მთვარიანი ღამეა. პირდაპირ გემის ცხვირის გასწვრივ გრენლანდიის ნაპირები მოსჩანს, პაპანინელებს, რომლებიც თითქმის ჩვენ გვერდით არიან, განუწყვეტელი კავშირი აქვთ ჩვენთან დამყარებული და სწამთ ჩვენი ექსპედიციის წარმატება“.

ამხ. შმიდტის დეპეშა

ყინულმჭრელი „ერმაკი“, 14 თებერვალი, 00 საათი და 15 წუთი.

„მოსკოვი, ამხანაგებს მი ქოციანს და უშაკოვს.
ლენინგრადი, ამხანაგებს ვდანოვს და ბელოუსოვს.

გავედით ფინეთის ყურედან. სიჩქარე 11 მილს აღემატება საათში. გვიხარიან, რომ „ტაიმირი“ წარმატებით უახლოვდება პაპანინის ყინულს.

შმიდტი“.

„ჩვენ მათ ხელით გადმოვიყვანთ“

„ტაიმირი“, 12 თებერვალი. 23 საათი 50 წუთი (რადიო. საკდესის სპეცკორი). მოსკოვიდან რადიოთი ვისმენთ „უკანასკნელ ცნობებს“ პაპანინისათვის. წვალ დღეით შეეკითხებით ივანე დმიტრის-ძეს და, თუ მას ცნობები არ მოუსმენია, განვიმეორებთ. დღის ან ახალ მოვლენებთან დაკავშირებით, მიუხედავად მთელი ეკიპაჟის საშინელი დაღლილობისა, ხმამაღლა არაჩვეულებრივი აღფრთოვანება სუფევს. ადამიანები გვთხოვენ, მიუხედავად ცუდი ამინდისა, გავუშვათ ისინი ფეხით პაპანინელთა ბანაკისაკენ.

ეკიპაჟმა განმიცხადა: „უფროსო! ჩვენ ხელით გადმოვიყვანთ არა მარტო გმირ ოთხეულს, არამედ მთელ მათ ქონებასაც უკლებლივ გადმოვიღებთო“.

საქირო გახდა მებრძანებია ვახტისაგან თავისუფალი ადამიანებისათვის დასაძინებლად წასულიყვნენ. ხვალ მძიმე დღე მოგველის.

„ტაიმირის“ ექსპედიციის ხელმძღვანელი ოხტალცევი.

აეროდრომი საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. სპირინის ექსპედიციის თვითმფრინავთათვის

ბარენცბურგი, 13 თებერვალი (საკდესის სპეცკორის რადიო). კოლბეის ბუხტის ნაპირას, ბარენცბურგის მახლობლად, მზად არის აეროდრომი საბჭოთა კავშირის გმირ ამხ. სპირინის ექსპედიციის თვითმფრინავთათვის.

ბოგდანჩიკი.

„მურმანეცისა“ და „ერმაკის“ აღგილსამყოფელი

12 თებერვალს 24 საათზე „მურმანეცის“ კაპიტანმა ამხ. ულიანოვმა გვაცნობა გემის ადგილსამყოფელი. „მურმანეცი“ იმყოფებოდა ჩრდილოეთის განედის 69 გრადუსსა და 40 წუთზე და დასავლეთის გრძედის 19 გრადუსსა და 42 წუთზე. ჰჭრის, ღელვაა. ტემპერატურა უდრის მინუს 6 გრადუსს. გემი მიდის მსხვილად ნამტვრევ კოპიჭ ყინულში, ფრთონა აფერხებს გემის სვლას.

ამხ. ულიანოვმა გაღმოგვცა აგრეთვე ყინულოვანი გარემოს შესახებ „მურმანეცის“ ირგვლივ. მთელი ფართობი, რომელიც გემიდან მოსჩანს, დაფარულია კოპიჭი ყინულით, რომლის სისქე სამ მეტრს აღემატება. ყინული დრეიფობს სამხრეთ-დასავლეთისაკენ 0,5 მილზე წაკლები სისწრაფით საათში.

O

„ერმაკი“, 13 თებერვალი, 9 საათი და 20 წუთი (რადიო). ყინულმჭრელის კოორდინატებია ჩრდილოეთის განედის 60 გრადუსი და აღმოსავლეთის გრძედის 27 გრადუსი და 06 წუთი. მთლიანი ღრუბლიანობაა, ნისლი. ჰჭრის ჩრდილოეთ - ჩრდილო-დასავლეთის 2 ბალიანი ქარი, ტემპერატურა მინუს 2 გრადუსი.

მიმართვა ესპანეთის მშრომელებისადმი

ბარსელონა, 13 თებერვალი (საკდესი). ესპანეთის კომუნისტურმა პარტიამ, სოციალისტურმა პარტიამ, კატალონიის გაერთიანებულმა სოციალისტურმა პარტიამ, მუშათა საყოველთაო კავშირის აღმასრულებელმა კომიტეტმა, აგრეთვე კატალონიის მუშათა საყოველთაო კავშირმა გამოაქვეყნეს საერთო მიმართვა ესპანეთის მშრომელებისადმი. აღნიშნავს რა, რომ ესპანეთის ხალხი გმირობას იჩენს თავისი დამოუკიდებლობისათვის, თავისი რევოლუციური მომავლისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში, მიმართვა მოუწოდებს ანტიფაშისტებს მთელი თავისი ძალღონე დასჭიმონ მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად.

შემდეგ მიმართვა აღნიშნავს, რომ მრეწველობის დარგში ჯერ კიდევ არ არის მიღწეული საჭირო წარმატებანი და რომ მრეწველობა ჯერ კიდევ ვერ ამზადებს ყოველივე იმას, რისი დამზადებაც სახელმწიფოს შეუძლია. ყველა მშრომელის ლოზუნგი უნდა იყოს, ნათქვამია მიმართვაში, — მრეწველობის პროდუქციის გადიდება, რაც სწრაფი ტემპებით უნდა იზრდებოდეს, ვინაიდან მეტწილად ამაზეა დამოკიდებული ფრონტებზე წარმატებათა მოპოვება. მიმართვა მოითხოვს, რომ შემოღებულ იქნას მუშაობის დამკვრელური ტემპები. საჭიროა გავუფრთხილდეთ იარაღებს და დაუნდობლად ვებრძოლოთ საბოტაჟს. შემდეგ მიმართვაში ნათქვამია, რომ მთავრობას განზრახული აქვს შემოიღოს წარჩინების ნიშნები კარგად მომუშავე მუშებისათვის, როგორც ეს შემოღებულია ომის ფრონტებზე მომქმედი გმირებისათვის.

მიმართვა აგრეთვე აღნიშნავს, რომ ქვეყნის სასურსათო მდგომარეობა გაუმჯობესებული იქნება პროდუქტების გულდასმით განაწილების გზით. ამისთვის საჭიროა, რომ თვითეულმა ქარხანამ და სახელოსნომ შეჰქმნას სამომხმარებლო კოოპერატივები და სასადილოები. სპეკულაციასთან ბრძოლა უნდა სწარმოებდეს კანონის მთელი სიმკაცრით.

მიმართვა აგრეთვე შეიცავს მოწოდებას გლეხებისადმი გაადიდონ და გააუმჯობესონ პროდუქცია.

დასასრულ მიმართვა გამოსთქვამს რწმენას, რომ რესპუბლიკური ესპანეთის მშრომელები გაათორკეცებენ თავის ენერგიას და წარმართავენ მას იქითკენ, რომ რესპუბლიკური მრეწველობის მანქანებმა ისეთივე გამარჯვებანი მოიპოვონ მტერზე, როგორსაც რესპუბლიკელ მეომართა ხიშტები აღწევენ.

ესპანეთის ფრონტებზე

(საკდესის ცნობებით).

ცენტრალური ფრონტი

11 თებერვალს ღამით მეამბოხეებმა ძლიერი საარტილერიო ცეცხლი გააჩაღეს ელ პარდოს (მადრიდის ჩრდილო-დასავლეთით) სექტორში, აგრეთვე ყუმბარები დაუშინეს დედაქალაქს. რესპუბლიკელთა ბატარიებმა სროლითვე უპასუხეს. საარტილერიო სროლა დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა.

მადრიდში დანგრეულია სახლები და არის ადამიანთა მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობაში.

სამხრეთის ფრონტი

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს გადმოცემით, მეამბოხეებმა 11 თებერვალს შეძლეს რამდენადმე წინ წაეწიათ თავისი პოზიციები სიერა დელ აგილის რაიონში, სალამეა დე ლა სერენის (ვალსეკელიოს ჩრდილო-დასავლეთით) სექტორში.

12 თებერვალს ფაშისტებმა გააძლიერეს იერიშები სიერა დე არგალიანესის რაიონში. რესპუბლიკელთა ჯარებმა მოიგერიეს ყველა ეს იერიში.

გერმანიის საშინაო ვითარება კვლავ განსაკუთრებით დაძაბულია

ლონდონი, 13 თებერვალი (საკდესი). გაზეთების „ტაიმისისა“ და „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის“ ბერლინელი კორესპონდენტები გადმოგვცემენ, რომ საშინაო ვითარება გერმანიაში კვლავ განსაკუთრებით დაძაბულია. „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის“ კორესპონდენტის სიტყვით, გერმანიის მთავრობის წრეებში თავი იჩინა შიშისა და გაურკვევლობის სულისკვეთებამ. ნერვიულობა, — დასძენს კორესპონდენტი, — გამეფებულია მოსახლეობის ძალიან ფართო ფენებში, ვინაიდან კვლავ ვრცელდება უაღრესად საგანგაშო ხმები.

„ტაიმისის“ კორესპონდენტი სწერს, რომ გერმანიის მოსახლეობის ფართო მასები უნდობლობით ეკიდებიან გერმანიის მთავრობის განმარტებებს იმ ცვლილებათა შესახებ, რომლებიც მთავრობამ მოახდინა 4 თებერვალს. მასები, — განაგრძობს კორესპონდენტი, — დარწმუნებული არიან, რომ გერმანიის არმიის გენერლები „იძულებული იყვნენ გარემოებათა გამო მოეხდინათ პუტჩი“. მეთვალყურეთა უმრავლესობის აზრით, — სწერს დასასრულ კორესპონდენტი, — გერმანიის მთავრობის გადაწყვეტილებანი, რომლებიც მან 4 თებერვალს მიიღო, არ შეიძლება ჩაითვალოს რაიხსვერსა და ფაშისტურ პარტიას შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების საბოლოო მოგვარებად.

გზა-კვალს აბნევენ

ვენა, 13 თებერვალი (საკდესი). პრესა რუმინეთის ახალი მთავრობის დროსაც განაგრძობს ცრუ და უაღრესად ფანტასტიური ცნობების გავრცელებას ფაშისტური ბანდების მერე ამბ. ბუტენკოს მოტაცებასთან დაკავშირებით. ამავე დროს, როგორც სჩანს, ცენზურა არ უშვებს საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობის (ბუქარესტში) ოფიციალურ განცხადებებს. პრესა სასამართლოს გამომძიებელს იმოწმებს და უარჰყოფს ყველასთვის ცნობილ ფაქტს, რომ „ლანშიერთა“ მანიფესტაცია მოეწყო სრულუფლებიანი წარმომადგენლობის თანამშრომელთა შენობის წინ, რაც მანიფესტაციის შემდეგ საბჭოთა სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ საგარეო საქმეთა სამინისტროს. ამასთან ერთად ცდილობენ საეჭვოდ დასახონ ამბ. ბუტენკოს პიროვნება, მას ხან წითელი არმიის მეთაურს უწოდებენ, ხან მფრინავს. სულ უფრო და უფრო ირკვევა გერმანიის, იტალიისა და პოლონეთის მისიების მონაწილეობა მთელს ამ საქმეში, განსაკუთრებით პრესის ინსპირაციაში ფაქტების დამახინჯების მიზნით. რუმინეთის საპოლიციო რეპორტიორთა საქმიანობისათვის ხელმძღვანელობის გაწევაში არაჩვეულებრივ აქტივობას იჩენს იტალიის სააგენტოს „სტეფანის“ კორესპონდენტი ტრანდაფილო, რომელიც რომშიაც გზავნის ჭორებს ამბ. ბუტენკოს მოტაცების საქმეზე. სხვათა შორის, გაავრცელეს ვერსია იმის შესახებ, რომ ამბ. ბუტენკო გაემგზავრა საბჭოთა გემით „კატაიამათი“, რომელიც, როგორც ახლა გამოირკვა, რუმინეთის ნავსადგურიდან გავიდა ჯერ კიდევ 2 თებერვალს, ე. ი. ამბ. ბუტენკოს მოტაცებამდე 4 დღით ადრე. ყველა ამ მანევრების ერთადერთი მიზანია კვალის დაფარვა და კვლევაძიების აბნევა, და ამიტომ არაფერია გასაკვირი, რომ აქამდის თითქოს ვერ მოხერხდა მომტაცებელთა კვალის მიგნება, თუმცა რუმინეთის ხელისუფალთ, ეჭვს გარეშეა, საკმაოდ კარგად იციან მათი ვინაობა.

მოკლე ცნობები

● ბუდაპეშტიდან მიღებული ცნობით ზალაეგერსეგის რაიონში უანდარმერიამ დააპატიმრა 30-ზე მეტი მუშა და მოჯამაგირე, რომელთაც ბრალდებათ გლეხობაში კომუნისტური პროპაგანდის გაწევა.

● „ნიუ-იორკი ტაიმსის“ ცნობით, პორტო-რიკოში (ა. შ.) შტატების კოლონია კარაიბის ზღვაზე) დამთავრდა მტვირთავთა გაფიცვა, რაც 5 კვირას გრძელდებოდა. მტვირთავებმა მიაღწიეს ხელფასის მომატებას. გაფიცვის გამო ჩინეთის ნაოსნობა.

● რეიტერზე საგანგებოს შანხაელი კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ სარწმუნო წყაროების თანახმად იაპონელთა ზარალი ჩინეთთან წარმოებული ომის განმავლობაში განისაზღვრება 50 ათასი დახოცილი და 150 ათასი დაჭრილი ჯარისკაცით.

პარიზის გარეუბან ვილეჟუიფში იმ ლაბორატორიაში, სადაც სწარმოებდა გამკვლევა ყუმბარებისა და ფეთქებადი ნივთიერებებისა, რომლებიც ფაშისტებს უპოვნეს, მოხდა დიდი აფეთქება.

სურათზე: ცოცხლად გადარჩენილი რობერტ გერარდი (მარცხნივ) იძლევა ჩვენებას აფეთქების შესახებ. ფოტო „სოიუზფოტოსი“.

ქვანახშირისა და ტორფის მრეწველობაში მომუშავე კოლმეურნეთა შეღავათების შესახებ

სსრ კავშირის მთავრობის მომქმედი დადგენილებებით ქვანახშირისა და ტორფის მრეწველობაში მომუშავე კოლმეურნეებს მინიჭებული აქვთ განსაკუთრებული შეღავათები. მაგალითად, იმ კოლმეურნეთა მეურნეობანი, რომლებიც დაკონტრაქტებული არიან, ანდა, რომლებიც თვითონ მიემავრნენ ქვანახშირის მრეწველობაში მიწისქვეშა სამუშაოს არანაკლებ ერთი წლის ვადით, განთავისუფლებული არიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან.

ტორფის მოპოვების, გაშრობისა და აღების ხაზით მომუშავე კოლმეურნენი კოლმეურნეობებში მოსავლის განაწილების დროს უზრუნველყოფილი იქნებიან პურით და პირუტყვის საკვებით სახელმწიფო დასამზადებელ ფასებში და იმავე რაოდენობით, რაც ეძლევათ დანარჩენ კოლმეურნეებს, რომლებიც კეთილსინდისიერად მუშაობენ კოლმეურნეობაში.

ამ შეღავათების დამატებით სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დააწესა ქვანახშირისა და ტორფის მრეწველობაში მომუშავე კოლმეურნეებისათვის მთელი რიგი შეღავათები.

1. იმ კოლმეურნეთა მეურნეობანი, რომლებიც ქვანახშირისა და ტორფის მრეწველობაში მუშაობენ საწარმოებთან დადებული ხელშეკრულებებით, რაც რეგისტრირებულია კოლმეურნეობათა გამგეობებში, განთავისუფლებული არიან რძის სავალდებულო ჩაბარებისაგან.

2. კოლმეურნეებს, რომლებიც მიწისქვეშა სამუშაოებს ასრულებენ დონბასის, კუზბასის, მოსკოვის ახლო მდებარე ბასეინის, კიზელოვსკის, ჩელიაბინსკის და ჩერემხოვოს რაიონების, აგრეთვე შორეულ აღმოსავლეთის მხარის ქვანახშირის მრეწველობაში, მინიჭებული აქვთ, ისე როგორც მეტოროლეებს, უფლება კოლმეურნეობებში მოსავლის განაწილების დროს მიიღონ პური და პირუტყვის საკვები სახელმწიფო დასამზადებელ ფასებში და იმავე რაოდენობით, რაც ეძლევათ დანარჩენ კოლმეურნეებს, რომლებიც კეთილსინდისიერად მუშაობენ კოლმეურნეობაში.

3. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების თანახმად, კოლმეურნეობათა გამგეობანი ვალდებული არიან:

ა) კოლმეურნეთა ოჯახის შრომისუნარიან წევრებს, რომლებიც ქვანახშირისა და ტორფის მრეწველობაში მუშაობენ ხელშეკრულებათა მიხედვით, მისცენ სამუშაო კოლმეურნეობაში მთელი წლის მანძილზე, ამასთან მიანიჭონ მათ უპირატესობა სხვა კოლმეურნეებთან შედარებით;

ბ) მიაწოდონ ქვანახშირის და ტორფის მრეწველობაში მომუშავე კოლმეურნეთა ოჯახებს საჭირო სასოფლო - სამეურნეო ინვენტარი და საჭაპანო ტრანსპორტი მათი კუთვნილი საკარმიდამო ნაკვეთების დასამუშავებლად და მათი პირადი საჭიროებისათვის სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით დადგენილი წესით;

გ) გაუწყონ იმ კოლმეურნეთა ოჯახებს, რომლებიც ქვანახშირისა და ტორფის მრეწველობაში მუშაობენ, კოლმეურნეობათა დანარჩენ წევრებთან თანაბრად სხვადასხვა სახის მომსახურება.

4. სსრ კავშირის სახკომსაბჭომ აუკრძალა რაიაღმასკომებსა და სასოფლო საბჭოებს წინააღმდეგობის გაწევა კოლმეურნეთა ქვანახშირისა და ტორფის მრეწველობაში სამუშაოდ გასვლისათვის იმ მიზეზით, რომ მათ აქვთ დავალიანება ფულად ვალდებულებათა ხაზით (კულტგამოსაღები, სადაზღვეო და სხვ.).

რაიაღმასკომები და სასოფლო საბჭოები ვალდებული არიან ქვანახშირისა და ტორფის მრეწველობაში სამუშაოდ წასულ კოლმეურნეთა აღნიშნული დავალიანების შესახებ აცნობონ ამ კოლმეურნეთა მუშაობის ადგილას, ხოლო ქვანახშირისა და ტორფის მრეწველობის სამეურნეო ორგანოები ვალდებული არიან ამ ცნობების მიხედვით აწარმოონ სათანადო გამოქვითვა კოლმეურნეთა ხელფასიდან და გამოქვითული თანხები გადაგზავნონ კუთვნილებისამებრ.

5. სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაავალა კოლმეურნეობათა გამგეობებს ხელი შეუწყონ იმას, რომ კოლმეურნეებმა დასდონ ხელშეკრულებანი ქვანახშირისა და ტორფის მრეწველობაში მუშაობაზე ხანგრძლივი ვადით და აუკრძალა მათ კოლმეურნეობათა იმ წევრების უკან გაწევება ხელშეკრულებათა ვადის გასვლამდე, რომლებიც ქვანახშირისა და ტორფის მრეწველობაში მუშაობენ.

6. ქვანახშირის და ტორფის მრეწველობის სამეურნეო ორგანოებს წინადადება მიეცათ დასდონ კოლმეურნეობათა გამგეობებთან სოციალისტური ურთიერთდახმარების ხელშეკრულებანი, გაითვალისწინონ მათში კოლმეურნეობათა გამგეობების ვალდებულებანი ქვანახშირისა და ტორფის მრეწველობაში სამუშაოდ კოლმეურნეთა მიზიდვისა და დამაგრების შესახებ და ქვანახშირისა და ტორფის მრეწველობის ვალდებულებანი მატერიალური ან ტექნიკური დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს მოცემული კოლმეურნეობის იმ წევრთა რიცხვის მიხედვით, რომლებიც ხანგრძლივი ვადით მიემავრნენ მრეწველობის აღნიშნულ დარგებს.

7. სსრ კავშირის სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო სამართალში იქნას მიცემული იმ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, რომლებიც ქვანახშირის მრეწველობაში მუშაობიდან გაიწვევენ კოლმეურნეებს იმ ხელშეკრულებათა დასარღვევად, რომლებიც რეგისტრირებულია კოლმეურნეობის გამგეობაში თანახმად სსრ კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს 1933 წლის 17 მარტის დადგენილებისა „კოლმეურნეობებიდან გარე სამუშაოზე გასვლის წესის შესახებ“.

ქვანახშირისა და ტორფის მრეწველობის სამეურნეო ორგანოები ვალდებული არიან დროზე აცნობონ პროკურატურის ორგანოებს ყველა შემთხვევა, როდესაც კოლმეურნეობათა გამგეობები უკანონოდ გაიწვევენ კოლმეურნეებს ქვანახშირისა და ტორფის მრეწველობაში მუშაობიდან. (საკდესი).

ცილისმწამებლები არ დაუსჯიათ

საკ. ჯ. პ. (ბ) ც. კ-ის იანვრის პლენუმის დადგენილებას ორჯონიკიძის (ყოფ. ხარაგოულის) რაიონის პარტიული ორგანიზაციები გულდასმით იხილავენ.

საქ. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომმა გადასინჯა პარტიის რიგებიდან გარიცხულთა საქმეები და პარტიაში აღადგინა უდანაშაულოდ გარიცხული 7 კომუნისტი.

სოფ. ღორეშის პარტორგანიზაციის წევრი გრიგოლ ჭუმბურიძე გარიცხულ იქნა 1937 წლის სექტემბერში. რაიკომის ყოფილმა ხელმძღვანელებმა ამბ. გრ. ჭუმბურიძე მავნებლად გამოაცხადეს და ეს პატიოსანი მუშაკი პარტიიდან გარიცხეს ისე, რომ ფაქტიური მდგომარეობა არ შეუსწავლიათ.

— „არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ის მავნებელია, ფაქტები მოწმობენ, რომ... გამომდინარე აქედან“ და სხვ. აი საფუძველი, რომლის მიხედვითაც ჭუმბურიძე გარიცხეს. ახლა დადასტურებულია, რომ ამბ. გრ. ჭუმბურიძის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები ცილისწამებას წარმოადგენდნენ.

საგულისხმო ფაქტს ჰქონდა ადგილი აგრეთვე კიცხის პირველი უბნის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციაში. იქაც სრულიად უდანაშაულოდ გარიცხეს აქტიური კოლმეურნე ლეონტი გოლგაძე. მისი „დანაშაული“ აი რაში მდგომარეობდა: რაიკომის ყოფილ ინსტრუქტორს ვ. შარიქაძეს კერძო ინტერესი ჰქონდა პარტორგ მაღრაძის მიმართ და აგროვებდა მასალებს მის წინააღმდეგ. შარიქაძე შესვდა ლ. გოლგაძეს და ჰკითხა: „შენ თუ გაგიგონია, კრებაზე მოხსენების დროს მაღრაძემ რომ შეცდომა დაუშვაო“. ასეთი რამე არ გამიგონიაო, —უპასუხა გოლგაძემ. ამან დიდად გააწყენა ისტრუქტორი და ახლა გოლგაძის წინააღმდეგ დაიწყო ბრალდების შეთხზვა. ისარგებლა რა თავის თანამდებობრივი მდგომარეობით, მოიწვია პარტორგანიზაციის კრება და გოლგაძეს წაუყენა ცილისმწამებლური ბრალდებები, — თითქოს გოლგაძე სისტემატურად დაიარებოდა ზესტაფონში და იქ დაპატიმრებულ ძმას ნახულობდა.

რაიკომის ყოფილი ხელმძღვანელობის მიერ აგრეთვე არასწორად არიან გარიცხული პარტიიდან: ანდრო კურტანიძე, პავლე ლურსმანაშვილი, ნიკოლოზ ფირცხალეიშვილი, ალექსანდრე ბუაჩიძე, ლეონინე არღუნაშვილი და აკაკი გვალია.

საქ. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომის ახალმა ხელმძღვანელობამ ეს შეცდომები გამოასწორა, მაგრამ ცილისმწამებლები, რომლებიც შეეცადნენ ჩირქი მოეცხოთ უდანაშაულო კომუნისტებისათვის არ დაუსჯიათ.

ვ. გოგიაშვილი

გამოვასწოროთ დაშვებული შეცდომები

(ჭუთაისი, საქ. კომპოზიტორთა ბიურო)

ჭუთაისის რაიონის პარტორგანიზაციებში ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა დამუშავებისადმი ძღვნილი პარტიული დღეები, რომელთაც წინ უძღოდა პროპაგანდისტებისა და აგიტატორების საშუალებით ამ გადაწყვეტილებების ფართოდ განხილვა-შესწავლა.

განსაკუთრებული აქტივობითა და ფართო თვითკრიტიკით ჩატარდა დახურული კრება საკონსერვო ქარხნის პარტორგანიზაციაში.

ამხ. ა. რომშა ლაპარაკობს, რომ მას სრულიად დაუმსახურებლად დასწამა ცილი და ხალხის მტერი. უწოდა ამავე ორგანიზაციის წევრმა ამხ. მ. ჩარკვიანმა.

ამხ. ვ. შენგელაიამ აღნიშნა, რომ პარტწევრ მ. მოშკემელიძის შესახებ პარტიულ კომიტეტში შემოვიდა განცხადება. ეს რომ გაიგეს, სხვებმაც დასწერეს განცხადებები ამ კაცის შესახებ და ერთბაშად 12 განცხადებამ მოიყარა თავი. აღსანიშნავია, რომ პარტკომის მდივანი ამხ. ს. დანგაძე ერთგვარ სტიმულს აძლევდა პარტწევრებს, ეუბნებოდა „დასწერეთ რამეო“, და იწერებოდა განცხადებები. ცალკეულ პარტწევრებზე სპეციალური საქმეები შეიქმნა.

